

დამტკიცებულია:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ

სხდომის ოქმი №8, 14.06.2019 წ. დადგენილება №30

## სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია

### 1. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი

1.1. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი არის წერითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, რომელიც უნდა შეასრულოს მაგისტრანტმა აკადემიური პროგრამის დასრულების ბოლოს და დაიცვას ფაკულტეტის დარგობრივი კომისიის სხდომაზე.

1.2. სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

1.3. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შესრულებისა და მისი საჯარო დაცვის მიზანია, სტუდენტს ჩამოუყალიბოს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.

1.4. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი სრულდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის კონსულტაციებით განხორციელებული კვლევისა და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

1.5. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის თემა უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო მოცულობა და სტრუქტურა განსაზღვრულია წინამდებარე წესის შესაბამისად.

1.6. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შერჩევასა გათვალისწინებული უნდა იყოს: თემის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამასთან და სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა.

1.7. მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, დაშვების წინაპირობის დაცვით, ხდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის III სემესტრის არაუგვიანეს მე-10 კვირისა, ხოლო ინტეგრირებული პროგრამების შემთხვევაში IX სემესტრის არაუგვიანეს მე-10 კვირისა. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და შესაბამის ხელმძღვანელს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

1.8. მაგისტრანტს უფლება აქვს, პირადი განცხადების საფუძველზე, შეცვალოს: სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის თემა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი IV სემესტრის დაწყებამდე, ხოლო ინტეგრირებული პროგრამების შემთხვევაში X სემესტრის დაწყებამდე. თემის სათაურის დაზუსტება შესაძლებელია საჭიროებისამებრ.

1.9. სამაგისტრო პროექტში/ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონისა და მეცნიერული კვლევის უნარის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

1.10. პროექტის/ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ეყრდნობა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში “უნივერსიტეტი”) მოქმედი ზოგადი შეფასების

კრიტერიუმებს, თუმცა, ფაკულტეტის საბჭოს შეუძლია განსაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები.

## 2. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი

2.1 სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული დოქტორი (ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი), რომელსაც გააჩნია სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. სტუდენტს, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი (იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო თემა მოიცავს ორ ან რამდენიმე დარგს/ქვედარგს).

2.2 ხელმძღვანელს უფლება აქვს, უარი თქვას კონკრეტული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე, როგორც მუშაობის დაწყებამდე, ისე მუშაობის პროცესში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მან წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს დეკანს, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მუშაობის დაწყებიდან.

2.3 ხელმძღვანელს შეუძლია უხელმძღვანელოს არა უმეტეს აქტიური სტატუსის მქონე 5 სტუდენტის სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადებას (შენიშვნა: საბაკალვრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე ჯამურად აქტიური სტატუსის მქონე 5 სტუდენტის ხელმძღვანელობა).

2.4 სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციაა:

- დაეხმაროს სტუდენტს გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და უზრუნველყოს კვლევის სწორი მიმართულებით წარმართვა, ჩაატაროს რეგულარული კონსულტაციები.
- დაეხმაროს სტუდენტს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში (მათ შორის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობაში).
- სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს დასკვნა, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ა) სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის დასათაურება;
  - ბ) ავტორის ვინაობა;
  - გ) სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მოკლე მიმოხილვა;
  - დ) სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის თემის აქტუალურობა;
  - ე) პროექტში/ნაშრომში წარმოდგენილი სამეცნიერო სიახლე და მისი პრაქტიკული ღირებულება;
  - ვ) ნაშრომის შინაარსობრივი შესაბამისობა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან;
  - ზ) ხელმძღვანელის შუამდგომლობა სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის განხილვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

**დასკვნა** წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით, არანაკლებ ორ გვერდზე, A 4 ფორმატით, სრული აზრაცებით თითო სტრიქონის დაშორებით, "სილფაენი" შრიფტით, სათაურის ზომა - 14, ძირითადი ტექსტისა - 12, სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5.

### 3. რეცენზენტი

3.1 რეცენზენტს არჩევს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.

3.2 სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის რეცენზენტის დანიშვნის საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო;

3.2.1 რეცენზენტი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის, აგრეთვე ადგილობრივი ან/და საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალი, მეცნიერ-თანამშრომელი.

3.2.2 რეცენზია წარმოდგენილ უნდა იყოს ნაბეჭდი სახით, A4 ფორმატით, სრული აზრებით - თითო სტრიქონის დაშორებით, „სილფაენი“ შრიფტით, სათაურების 14, ძირითადი ტექსტისა – 12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5.

3.3 რეცენზია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროექტის/ნაშრომის დასათაურებას;

ბ) ავტორის ვინაობას;

გ) პროექტის/ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;

დ) პროექტის/ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიწიშნებით;

ე) აძლევს დადებით დასკვნას პროექტის/ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად.

ვ) უარყოფითად შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ენიშნება მეორე რეცენზენტი, რომლის დადებითი დასკვნის საფუძველზე სტუდენტი დაიშვება დაცვაზე.

თ) განმეორებით უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტი გადამუშავებულ ან ახალ სამაგისტრო პროექტს/ნაშრომს წარმოადგენს მომავალ სემესტრში.

3.4 რეცენზენტის დასწრება საჯარო დაცვაზე არ არის სავალდებულო.

### 4. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების და დამოწმების წესი

სამაგისტრო პროექტის/ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:

4.1. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A4 ზომის არაუმეტეს 80 გვერდისა (ფაკულტეტები განსაზღვრავენ სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მინიმალური და მაქსიმალური გვერდების რაოდენობის ზღვარს საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით), მაგრამ იგი უნდა იყოს არანაკლებ 40 გვერდისა. შრიფტი – sylfaen, (დანართები (სქემები...) შრიფტით sylfaen), ზომა - 12, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა შესაბამისად - 16-14, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ. დამატებით მოთხოვნებს სტრუქტურისა და მოცულობის შესახებ ადგენს ფაკულტეტის საბჭო.

4.2. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:

- თავფურცელი - სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის პირველი გვერდი; (თავფურცელი უნდა გაფორმდეს შემდეგნაირად. თავფურცლის ზემო ნაწილში მიეთითება უნივერსიტეტის სრული დასახელება: „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ფაკულტეტი (შრიფტი: sylfaen 12, Bold), პროგრამის დასახელება (შრიფტი: sylfaen 12, Bold), შემდეგ სტუდენტის სახელი და გვარი (შრიფტი: sylfaen 16, Bold), შუა ნაწილში სამაგისტრო

პროექტის/ნაშრომი, სამაგისტრო თემის სრული სათაური (შრიფტი: sylfaen 18, Bold), სათაურის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, აკადემიური თანამდებობა (შრიფტი: sylfaen 14, Bold), თავფურცლის ქვედა ნაწილში აღინიშნება დაცვის ადგილი (ახალციხე) და დაცვის დრო (წელი) (შრიფტი: sylfaen 12, Bold).

- სარჩევი - (ანოტაცია, შესავალი, ნაშრომის თავები და პარაგრაფები.....) გვერდების მითითებით;
- ანოტაცია - მოკლედ და გასაგებად უნდა ასახავდეს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის თემის აქტუალობას, მიზნებსა და ამოცანებს, კვლევის საგანსა და ობიექტს, ძირითად შედეგებსა და სიახლეს. ანოტაცია არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას. ანოტაცია უნდა იყოს დაწერილი ქართულ ენაზე და თარგმნილი ინგლისურ ენაზე. ანოტაციის ინგლისურენოვანი ვარიანტი უნდა შეიცავდეს ავტორის ინიციალებს, გვარს, თემის დასახელებას. ანოტაცია ერთ გვერდზე უნდა იყოს განთავსებული და წარდგენილი თავფურცელის მომდევნო ფურცელზე.
- შესავალი – ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანა (ამოცანები); საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები (კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები); კვლევის შედეგები.
- ტექსტის ძირითადი ნაწილი – შეიძლება დაიყოს თავებად და პარაგრაფებად;
- დასკვნა - წარმოადგენს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელიც კონკრეტულად პასუხობს ყველა იმ ამოცანას, რომელიც მაგისტრანტს გააქვს საჯარო დაცვაზე.
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას დაცული უნდა იქნას შემდეგი სტილი:

**1. ტექსტობრივი მითითების სტილი**

ტექსტობრივი მითითებების სტილი აგრეთვე, ცნობილია ავტორი - თარიღის სტილის სახელით, ვინაიდან წყაროების მითითებისას ავტორის სახელი, გვარი და გამოცემის თარიღი მნიშვნელოვანი ელემენტებია.

ტექსტობრივი მითითება საკმარის ინფორმაციას შეიცავს იმისათვის, რომ მკითხველმა იპოვოს სრული მითითება ბიბლიოგრაფიაში; ჩვეულებრივ, ეს ინფორმაცია მოიცავს ავტორის სახელს და გვარს, გამოცემის თარიღს და (თუ კონკრეტულ ნაწყვეტს უთითებთ) გვერდის ნომერს ან ადგილის ამსახველ სხვა ინფორმაციას. სახელი, გვარი და თარიღი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ბიბლიოგრაფიის მუხლის შესაბამის ელემენტებს.

გაურკვევლობებით მოცულ სამყაროში, ნაბეჭდი მასალების მძლავრი ინსტრუმენტის სახით გამოყენება შეიძლება.” [ჯონსი 1998, 623].

ტექსტობრივ მითითებებში ავტორს და თარიღს შორის სასვენი ნიშანი არ დასვათ, თარიღი გვერდის ნომრისგან მძიმით გამოყავით.

ციტატის შემთხვევაში, ტექსტობრივი მითითება უშუალოდ ციტატის შემდეგ ჩასვით, სხვა შემთხვევაში, ტექსტობრივი მითითებები წინადადების ან წინადადების ნაწილის ბოლოში მოათავსეთ. როდესაც ტექსტში ციტატას რთავთ, ბრჭყალი უნდა დახუროთ მძიმის, წერტილის და სხვა სასვენი ნიშნის წინ.

ქვემოთ წარმოდგენილ ნიმუშებში ნაჩვენებია, რომელი ელემენტები უნდა ჩაირთოს ტექსტობრივ მითითებებში წყაროების რამდენიმე გავრცელებული სახის ციტირებისას. XX

აღნიშნავს ციტირებული ტექსტის გვერდის ნომრებს, YY აღნიშნავს სტატიის ან თავის გვერდების სრულ რაოდენობას.

1. ერთი ავტორი

ტექს: [ავტორის გვარი, გამოცემის თარიღი, XX-XX]

[Noll 1990, 123]

1.1. თუ წიგნს ავტორის ნაცვლად რედაქტორი ჰყავს:

ტექს: [რედაქტორის გვარი, გამოცემის თარიღი, XX-XX]

[Noll 1990, 123]

1.2. თუ წიგნს ორი ავტორი ჰყავს:

ტექს: (პირველი ავტორის გვარი და მეორე ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, XX-XX)

[Bird & Sherwin 2005, 5]

1.3. თუ წიგნს სამი ავტორი ჰყავს:

ტექს: (პირველი ავტორის გვარი, მეორე ავტორის გვარი, და მესამე ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, XX-XX)

[Appleby, Hunt, & Jacob. 1994, 135-36]

1.4. თუ წიგნს ოთხი ან მეტი ავტორი ჰყავს, შენიშვნის სტრუქტურა მხოლოდ ასეთი სახით შეცვალეთ:

ტექს: (პირველი ავტორის სახელი და სხვები. გამოცემის თარიღი, XX-XX)

(Hall და სხვები. 1987, 114-15)

1.5. თუ წიგნს ავტორის გარდა, რედაქტორიც ჰყავს:

ტექსტ: (ავტორის გვარი გამოცემის თარიღი, XX-XX)

(Harley 2002, 132-33)

1.6. თუ წიგნს რედაქტორის ნაცვლად მთარგმნელი ჰყავს,

ტექსტ: (ავტორის გვარი, გამოცემის თარიღი, XX-XX)

(Daniels 2002, 84)

1.7. ერთი თავი რედაქტირებულ წიგნში

ტექსტ: (თავის ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, XX-XX)

## 2. საჟურნალო სტატიები

2.1. საჟურნალო სტატიის ბეჭდური გამოცემა

ტექს: (ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, XX-XX)

თუ სტატიას რამდენიმე ავტორი ჰყავს, იხელმძღვანელებთ ავტორების სახელების მითითების მეორე ნიმუშში წარმოდგენილი შესაბამისი სქემით.

2.2. ინტერნეტში გამოქვეყნებული საჟურნალო სტატიები

ტექსტ: (ავტორის გვარი, გამოცემის თარიღი).

ინგლისურ ენაზე დამოწმების შემთხვევაში საკუთარი სახელები, ჩვეულებისამებრ, მთავრული ასოებით დაწერეთ.

ნაშრომის რედაქტორის, მთარგმნელის ან სხვა შემდგენელის სახელი და გვარი განიხილეთ, როგორც ავტორის სახელი და გვარი, თუ სხვაგვარი მითითება არ არსებობს. ავტორები ერთი და იმავე გვარით.

თუ უთითებთ ნაშრომებს ერთზე მეტი ავტორით, რომლებსაც ერთი და იგივე გვარი აქვთ, თითოეულ ტექსტობრივ მითითებაში დაუმატეთ ავტორის პირველი ინიციალი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თარიღები განსხვავებულია. თუ ინიციალები ერთნაირია, სახელები სიტყვიერად დაწერეთ.

[J. Smith 2001, 140]

[Adele Gottfried 1988, 15]

[T. Smith 1998, 25-26]

[Allen Gottfried 1994, 270]

2.3. ერთი და იმავე ავტორის ნაშრომები და თარიღი.

თუ უთითებთ ერთზე მეტ ნაშრომს, რომელიც ერთსა და იმავე წელს გამოსცა ავტორმა ან ავტორთა ჯგუფმა და ისინი ერთნაირადაა მითითებული, ბიბლიოგრაფიაში მუხლები ანბანურად დაალაგეთ სათაურების მიხედვით, წელს კი დაურთეთ ასოები ა, ბ, გ და ა.შ. იმავე პრინციპით დაწერეთ ტექსტობრივი მითითებებიც (ასოები იწერება სწორი შრიფტით, თარიღის შემდეგ ინტერვალი არ უნდა იყოს).

[Davis 1983a, 74]

[Davis 1983b, 59-60]

#### 2.4. ფსევდონიმი.

იხმარეთ ფართოდ გამოყენებული ფსევდონიმი, როგორც ავტორის ნამდვილი სახელი და გვარი.

[ტვენნი 1899, 34]

[სენტინელი 1981, 2]

ავტორი არ არის მითითებული.

როდესაც უთითებთ წიგნს ან საჟურნალო სტატიას, რომელშიც ავტორი არ არის მითითებული, ბიბლიოგრაფიაში ავტორის ნაცვლად სათაური მიუთითეთ ტექსტობრივ მითითებებში გამოიყენეთ შემოკლებული სათაური, რომელიც უნდა შეიცავდეს სრული სათაურის ოთხამდე ამოსაცნობ სიტყვას; სათაური დაბეჭდეთ დახრილი ან სწორი შრიფტით, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის ანალოგიურად.

[Account of operations 1870-1910]

[Great Trigonometrical Survey 1863, 26]

#### 2.5. ორგანიზაცია, როგორც ავტორი.

თუ ორგანიზაციის, ასოციაციის, კომისიის ან კორპორაციის მიერ გამოშვებული პუბლიკაციის სატიტულო ფურცელზე არ არის მითითებული ინდივიდუალური ავტორის სახელი და გვარი, ავტორად მიუთითეთ საკუთრივ ორგანიზაცია, მაშინაც კი, როდესაც იგი მითითებულია, როგორც გამომცემელი.

ტექსტი: [ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 2003, 50]

სამეცნიერო ჟურნალების და საგაზეთო სტატიების შემთხვევაში, რომელთა ავტორებიც არ არის მითითებული, ორივე ადგილზე ავტორის ნაცვლად ჟურნალის ან გაზეთის სახელწოდება მიუთითეთ. თუ სხვაგვარი მითითება არ არის წარმოდგენილი, გამოიყენეთ შემოკლებული სათაური.

თარიღი არ არის მითითებული.

თუ უთითებთ გამოქვეყნებულ ნაშრომს, რომელზეც არ არის მითითებული თარიღი, თარიღის ადგილას დასვით თ.ა.მ. (‘თარიღი არ არის მითითებული’), როგორც ბიბლიოგრაფიაში, ისე, ტექსტობრივ მითითებებში. გამოიყენეთ სწორი შრიფტი და პატარა ასოები. [Smith თ.ა.მ., 5] სხვა ტიპის წყაროების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები შეგიძლიათ, იხილოთ მე-19 თავის შესაბამის ნაწილში.

#### 2.6. ტექსტში მითითებულია ავტორი.

თუ ტექსტში ავტორის სახელია მითითებული, შეგიძლიათ, ტექსტობრივ მითითებაში ეს ელემენტი არ ჩართოთ. თუ სიცხადისთვის აუცილებელია, მითითება უშუალოდ ავტორის სახელის შემდეგ მოათავსეთ, თუ ის მთელი წინადადების ან მისი ნაწილის ბოლოში არ არის.

ამის შემდგომ, ჩანგი საკმაოდ დეტალურად აღწერს ნანკინის ოკუპაციას [1997, 159-67]. არიესის [1965] მიერ წარმოდგენილი არგუმენტები შეიცვალა შემდგომი კვლევების შედეგად.

#### 2.7. ერთზე მეტი ნაშრომის მითითება.

თუ ერთი თვალსაზრისის დასაბუთებისთვის უთითებთ რამდენიმე წყაროს, დააჯგუფეთ ისინი ტექსტობრივ ერთ მითითებაში. დაალაგეთ ანბანის მიხედვით, ქრონოლოგიურად ან

მნიშვნელოვნების მიხედვით (კონტექსტიდან გამომდინარე), წყაროები ერთმანეთისგან წერტილ-მძიმით გამოყავით.

რამდენიმე თეორეტიკოსი მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ამ პოზიციას [Armstrong and Malacinski 1989; Pickett and White 1995; Beigl 2004].

## 2.8. გვერდობლივი შენიშვნები და ტექსტობრივი მითითებები

თუ გსურთ, ტექსტს დაურთოთ მნიშვნელოვანი კომენტარები, ტექსტობრივი მითითებების ნაცვლად მიმართეთ გვერდობლივ შენიშვნებს. შენიშვნის განთავსების, დანომვრის და დაფორმატების შესახებ იხილეთ 16.3.2-16.3.4. სქოლიოში წყაროს მითითებისთვის გამოიყენეთ ტექსტობრივი მითითების ჩვეული ფორმა.

N: 10. ჯეიმს უილსონი აღნიშნავს, რომ „არც ერთ პოლიტიკოსს არასდროს დაუკარგავს ხმები ბიუროკრატის დაგმობის გამო“ [1989, 235].

თუ ცნობილია მხოლოდ და მხოლოდ ავტორის სახელი

თუ ცნობილია მხოლოდ და მხოლოდ ავტორის სახელი, გამოიყენეთ იგი გვარის ნაცვლად. ტექსტობრივ მითითებებში ჩაწერეთ მხოლოდ ავტორის გვარი, ზუსტად ისე, როგორც მითითებულია ბიბლიოგრაფიაში.

[ბოლი 2001, 140]

[ბრინი 2004, 48]

[ელიზაბეტ I 2000, 102-4]

## 3. ბიბლიოგრაფია

3.1. ბიბლიოგრაფია, როგორც წესი, წარმოადგენს ყველა წყაროს ერთიან ჩამონათვალს; თითოეული სტატია მოიცავს სრულ ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას წყაროს შესახებ, ვინაიდან ეს ინფორმაცია არ არის ჩართულ ციტირებაში ნაშრომებში, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის სტილი, ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია ტექსტობრივ მითითებებში აღნიშნულ წყაროებზე (რამდენიმე განსაკუთრებული ტიპის წყაროს გარდა).

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის ყველა ერთეულს ერთი და იგივე ზოგადი ფორმა აქვს.

მაგ.:

ჯონსი, ადრიანი. 1998. წიგნის ბუნება: გამომცემლობა და ცოდნის შექმნის პროცესი. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივ. გამომც.

Johns, Adrian. 1998. The Nature of The book: Print and Knowledge in Making. Chicago: Univ. Of Chicago Press.

შეგიძლიათ, აგრეთვე, მიუთითოთ ნაშრომები, რომლებიც მნიშვნელოვნი იყო თქვენი აზროვნების პროცესში, მაგრამ ტექსტში კონკრეტულად არ მიგიითებიათ. ჩამონათვალი დაასათაურეთ ასე: ბიბლიოგრაფია (ან გამოყენებული ლიტერატურა). ბიბლიოგრაფიის მუხლებში ელემენტების თანმიმდევრობა ყველა სახის წყაროსთვის ერთნაირია:

ავტორი, გამოცემის თარიღი (წელი), სათაური, სხვა ინფორმაცია გამოცემის შესახებ. ტექსტობრივ მითითებებში ამ ელემენტებიდან მხოლოდ პირველი ორი მიეთითება. თუ ისინი კონკრეტულ ნაწყვეტებს შეეხება, შესაძლოა, გვერდის ნომრებს ან ადგილის განმსაზღვრელ სხვა ინფორმაციასაც შეიცავდეს; გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის მუხლებში ელემენტების უმეტესობა გამოყავით წერტილებით;

წყაროები დალაგებულია ანბანის მიხედვით ავტორის, რედაქტორის ან თითოეულ მუხლში პირველ ადგილზე მითითებული პირის გვარის მიხედვით. (უცხო სახელების, შედგენილი სახელების და სხვა განსაკუთრებული სახელების ანბანის მიხედვით დალაგების შესახებ).

ქვემოთ წარმოდგენილ ნიმუშებში ნაჩვენებია, რომელი ელემენტები უნდა ჩაირთოს ბიბლიოგრაფიაში წყაროების რამდენიმე გავრცელებული სახის ციტირებისას. YY აღნიშნავს სტატიის ან თავის გვერდების სრულ დიაპაზონს.

#### 4. წიგნები

➤ ერთი ავტორი ან რედაქტორი

ბიბლ: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება.

Diamond, Jared. 1997. *Guns, germs, and steel: The fates of human societies*. New York: W. W. Norton and Company.

➤ თუ წიგნს ავტორის ნაცვლად რედაქტორი ჰყავს:

ბიბლ: რედაქტორის გვარი, რედაქტორის სახელი, რედ. გამოცემის თარიღი ...

Noll, Mark A., red. 1990...

➤ თუ წიგნს ორი ავტორი ჰყავს:

ბიბლ: პირველი ავტორის გვარი, პირველი ავტორის სახელი და მეორე ავტორის სახელი და გვარი. გამოცემის თარიღი. წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება. B

ird, Kai & Martin J. Sherwin. 2005. *American Prometheus: The triumph and tragedy of J. Robert Oppenheimer*. New York: Alfred A. Knopf.

➤ თუ წიგნს სამი ავტორი ჰყავს:

ბიბლ: პირველი ავტორის გვარი, პირველი ავტორის სახელი, მეორე ავტორის სახელი და გვარი, და მესამე ავტორის სახელი და გვარი. გამოცემის თარიღი. წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება

Appleby, Joyce, Lynn Hunt, & Margaret Jacob. 1994...

➤ თუ წიგნს ოთხი ან მეტი ავტორი ჰყავს:

ბიბლ: პირველი ავტორის გვარი, პირველი ავტორის სახელი, მეორე ავტორის სახელი და გვარი, მესამე ავტორის სახელი და გვარი, და მეოთხე ავტორის სახელი და გვარი. გამოცემის თარიღი. წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება

Appleby, Joyce, Lynn Hunt, & Margaret Jacob. 1994...

➤ თუ წიგნს ავტორის გარდა, რედაქტორიც ჰყავს:

ბიბლ: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური, რედ. რედაქტორის სახელი და გვარი. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება.

Arley, J.B. 2002. *The new nature of maps: Essays in the history of cartography*. რედ. Paul Laxton. Baltimore: Johns Hopkins University Press.

➤ თუ წიგნს რედაქტორის ნაცვლად მთარგმნელი ჰყავს,

რედაქტორის შესახებ ინფორმაციის ნაცვლად, ბიბლიოგრაფიის მუხლში ჩასვით სიტყვები თარგმ. და თარგმნილია და მიუთითეთ მთარგმნელის სახელი და გვარი. გამოცემის ნომერი

ბიბლ ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური, გამოცემის ნომერი გამ. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება. Daniels, Roger. 1002. *Coming to America: A history of immigration and ethnicity in American life*. მე-2 გამ. New York: Harper Perennial.

➤ ერთი თავი რედაქტირებულ წიგნში

ბიბლ: თავის ავტორის გვარი, თავის ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. თავის სათაური: თავის ქვესათაური. წიგნში – წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური, რედ.



რედაქტორის სახელი და გვარი, YY-YY. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება.

Spirn, Anne Whiston. 1996. *Constructing nature: The legacy of Frederick Law Olmsted*. წიგნში *“Uncommon ground: Rethinking the human place in nature”*, red. William Cronon, 91-113. New York: W.W. Norton and Company.

#### 5. ფსევდონიმი.

იხმარეთ ფართოდ გამოყენებული ფსევდონიმი, როგორც ავტორის ნამდვილი სახელი და გვარი. თუ ნამდვილი სახელი და გვარი უცნობია, ბიბლიოგრაფიის მუხლში, მაგრამ არატექსტობრივ მითითებაში, დაურთეთ ფსევდ. კვადრატულ ფრჩხილებში.

ბიბლ: ტვენი, მარკი. 1899. უფლისწული და მათხოვარი: ისტორია ყველა ასაკის ახალგაზრდისთვის. ნიუ იორკი: ჰარპერი და ძმები.

სენტინელი [ფსევდ.]. 1981. წერილები. წიგნში სრული ანტიფედერალისტი, გამომც. ჰერბერტ ჯ. სტორინგი. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

➤ ორგანიზაცია, როგორც ავტორი.

თუ ორგანიზაციის, ასოციაციის, კომისიის ან კორპორაციის მიერ გამოშვებული პუბლიკაციის სატიტულო ფურცელზე არ არის მითითებული ინდივიდუალური ავტორის სახელი და გვარი, ავტორად მიუთითეთ საკუთრივ ორგანიზაცია, მაშინაც კი, როდესაც იგი მითითებულია, როგორც გამომცემელი.

ბიბლ: ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. 2003. ფსიქიატრიული სამსახურების ორგანიზება. ჟენევის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

#### 6. საჟურნალო სტატიები

➤ საჟურნალო სტატიის ბეჭდური გამოცემა

ბიბლ: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. სტატიის სათაური: სტატიის ქვესათაური. ჟურნალის სახელწოდება ტომის ნომერი (თარიღთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია): YY-YY.

➤ ინტერნეტში გამოქვეყნებული საჟურნალო სტატიები

ბიბლ: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. სტატიის სათაური: სტატიის ქვესათაური. ჟურნალის სახელწოდება ტომის ნომერი (თარიღთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია). URL-ის მისამართი (გახსნილია/მონახულებულია მასალაზე წვდომის თარიღი).

McFarland, Daniel A. 2004. Resistance as a social drama: A study of change-oriented encounters. *American Journal of Sociology* 109, no. 6 (maisi).

<http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v109n6/050199/050199.html>

[gaxsnilia/monaxulebulia 2006 wlis 3 maiss]

ინგლისურ ენაზე დამოწმების შემთხვევაში საკუთარი სახელები, ჩვეულებისამებრ, მთავრული ასოებით დაწერეთ.

თუ ბიბლიოგრაფია მოიცავს ორ ან მეტ ნაშრომს, რომლებიც დაწერილი, რედაქტირებული ან ნათარგმნია ერთი და იგივე პირის მიერ, დაალაგეთ მუხლები ქრონოლოგიურად გამოცემის თარიღის მიხედვით. პირველის შემდეგ ყველა მუხლში პირის სახელი შეცვალეთ გრძელი ტირეთი, რომელსაც ეწოდება სამი M-ის სიგრძის ტირე (იხ. 21.7.3). რედაქტირებული ან თარგმნილი ნაშრომების შემთხვევაში, დასვით მძიმე და სათანადო აღნიშვნა (რედ., მთარგმნ., და ა.შ.) ტირეს შემდეგ. ჩამოწერეთ ყველა ასეთი ნაშრომი იმ ნაშრომებამდე, რომელთა შემთხვევაშიც პირი იყო თანაავტორი ან თანარედაქტორი.

ბიბლ: Gates, Henry Louis Jr. 1989. *The signifying monkey: A theory of African-American Literary Criticism*. New York: Oxford University Press. ---, red. 2002. *The classic slave narratives*. New York:

Penguin Putnam.---. 2004. America behind the color line: Dialogues with African Americans. New York: Warner Books. Gates, Henry Louis Jr., da Cornel West. 2000. The African American century: How black Americans have shaped our country. New York: Free Press.

იგივე პრინციპი გამოიყენება ავტორთა ერთი ჯგუფის მიერ დაწერილი ისეთი ნაშრომებისთვის, რომლებიც მითითებულია ერთი და იმავე თანმიმდევრობით.

ბიბლ: Marty, Martin E., da R. Scott Appleby. 1992. The glory and the power: The fundamentalist challenge to the modern world. Boston: Beacon Press. -----, რედ.-ები. 2004. Accounting for fundamentalisms. Chicago: University of Chicago Press. Marty, Martin E., da Micah Marty. 1998 When true simplicity is gained: Finding spiritual clarity in a complex world. Grand Rapids, MI: William B. Eerdmans Publishing Company.

თუ ბიბლიოგრაფიაში შესულია ერთზე მეტი ნაშრომი, რომელიც გამოცემულია ერთსა და იმავე წელს ავტორის ან ავტორთა ჯგუფის მიერ, რომელთა გვარებიც ერთი და იგივე თანმიმდევრობით არის დალაგებული, მუხლები დაალაგეთ ანბანური თანმიმდევრობით სათაურის მიხედვით (ინგლისურ ენაზე წერისას. მთარგ. შენიშვნა). წელს დაამატეთ ასოები ა, ბ, გ და ა.შ., სწორი შრიფტით, ინტერვალის გარეშე. ამ ნაშრომების მითითების შემცველი ტექსტობრივი მითითებები ასოებს უნდა შეიცავდეს (იხ. 18.3.2).

ბიბლ: Davis, Natalie Zemon. 1983ა. Beyond the market: Books as gifts in the sixteenth-century France. Transactions of the Royal Historical Society 33: 69-88. -----. 1983ბ. The return of Martin Guerre. Cambridge, MA: Harvard University Press

თუ წიგნს ან საჟურნალო სტატიას ავტორი ან რედაქტორი არ ჰყავს (ან სხვა დასახელებული შემდგენელი, მაგ., მთარგმნელი), ბიბლიოგრაფიაში, პირველ რიგში, მიუთითეთ სათაური და სათაურის მიხედვით დაალაგეთ ანბანურად, (ინგლისურ ენაზე წერისას. მთარგ. შენიშვნა).

ბიბლ: ბიბლიოგრაფია სამეცნიერო ჟურნალებისა და საგაზეთო სტატიებისთვის, რომელთა ავტორიც არ არის მითითებული, ავტორისთვის განკუთვნილ ადგილზე ჩასვით ჟურნალის ან გაზეთის სახელწოდება (იხ. 19.3 და 19.4). სხვა ტიპის წყაროებისთვის იხ. მე-19 თავის შესაბამისი ნაწილი, სადაც წარმოდგენილია სახელმძღვანელო პრინციპები; თუ სხვაგვარი მითითება არ არის მოცემული, სათაური ამ პრინციპის მიხედვით მიუთითეთ.

ავტორის სახელი და გვარი თქვენს ბიბლიოგრაფიაში ყოველი ავტორის სახელი და გვარი წარმოადგინეთ ზუსტად ისევე, როგორც სატიტულო ფურცელზეა წარმოდგენილი. თუ სახელი და გვარი მოიცავს ერთზე მეტ ინიციალს, დატოვეთ მათ შორის სივრცეები. ჩამოწერეთ ავტორების სახელები და გვარები შებრუნებული თანმიმდევრობით (პირველ რიგში, მიუთითეთ გვარი), ზოგიერთი უცხოენოვანი სახელების და გვარებისა და სხვა შემთხვევების გამოკლებით, რომლებიც განმარტებულია ქვემოთ მითითებულ პარაგრაფში „სპეციალური ტიპის სახელები და გვარები“(გვ. \_\_\_).

ბოლი, ფილიპი. 2001. ბრწყინვალე დედამიწა: ხელოვნება და ფერის გამოგონება. ნიუ იორკი: ფარარი, შტრაუსი და ჟირუ. ბრინი, ტ. გ. რევოლუციის ბაზარი: როგორ ჩამოაყალიბა მომხმარებელთა პოლიტიკამ ამერიკის დამოუკიდებლობა. ნიუ იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ელიზაბეტ I. 2000. ნამუშევრების კრებული. გამომც. ლი ს. მარკუსი, ჯენეთ მიულერი და მერი ბეთ როუზი. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

## 7. კატეგორიებად დალაგებული ჩამონათვლები.

7.1. ტექსტობრივი მითითების შემთხვევაში მკითხველს მხოლოდ ავტორის და თარიღის შესახებ მონაცემები აქვს ბიბლიოგრაფიის შესაბამისი მუხლის მოსაძიებლად. ამდენად, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, ჩამონათვალი დაალაგეთ ზემოთ აღწერილი ნიმუშის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილის მსგავს შემთხვევებში შეგიძლიათ ჩამონათვლის დაყოფა ცალკეულ კატეგორიებად:

- თუ სპეციალური ტიპის წყაროსთვის, მაგ., ხელნაწერის, საარქივო კოლექციების, ჩანაწერების და ა.შ. სამ ან ოთხ მუხლზე მეტი გაქვთ, ისინი დანარჩენი მუხლებისგან განცალკევებით მიუთითეთ.
- თუ მნიშვნელოვანია პირველწყაროების გამოყოფა მეორადი და მესამეხარისხოვანი წყაროებისგან, მუხლები ცალკე ნაწილებში ჩამოწერეთ.
- თუ ახდენთ წყაროების კატეგორიზაციას, წარმოადგინეთ თითოეული ნაწილი ქვესათაურით და, თუ აუცილებელია, დასაწყისში განთავსებული შენიშვნით. მუხლები თითოეულ სექციაში დაალაგეთ ზემოთ აღწერილი პრინციპების მიხედვით, წყარო არ მიუთითოთ ერთზე მეტ სექციაში, თუ ცალსახად არ შეიძლება მისი კატეგორიზაცია ორი ან მეტი სახით.

7.2. წყაროები, რომლებიც შეგიძლიათ, გამოტოვოთ როგორც წესი, შეგიძლიათ, ბიბლიოგრაფიაში არ მიუთითოთ შემდეგი სახის წყაროები:

- კლასიკური, შუა საუკუნეების და ადრეული ლიტერატურული ნაწარმოებები (19.5.1) და (ზოგიერთ შემთხვევაში) ცნობილი პიესები (19.8.7)
- ბიბლია და სხვა წმინდა წიგნები (19.5.2)
- ფართოდ გავრცელებული საცნობარო ლიტერატურა, როგორცაა დიდი ლექსიკონები და ენციკლოპედიები (19.5.3)
- ანონიმური გამოუქვეყნებელი ინტერვიუები და პირადი მიმოწერა/კომუნიკაცია (19.6.3), ვებლოგის ინფორმაცია და კომენტარები (19.7.2) და ელექტრონული ფოსტის ადრესატების სიები (19.7.3)
- სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნების მრავალი წყარო, მათ შორის, მხატვრული ხელოვნების ნამუშევრები და სხვა ვიზუალური წყაროები (19.8.1), ცოცხალი შესრულება (19.8.2), სატელევიზიო და სხვა სამაუწყებლო პროგრამები (19.8.3)
- კონსტიტუცია (19.9.5) და ზოგიერთი სხვა საჯარო დოკუმენტი (19.9)

შეიძლება, არჩიოთ, რომ ბიბლიოგრაფიაში მიუთითოთ ამ კატეგორიიდან რომელიმე კონკრეტული ნაშრომი, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი არგუმენტისთვის ან რომელიც ხშირად გაქვთ მითითებული.

8. სათაურების გაფორმება

შედარებით მოცულობითი ნაწარმოებების (წიგნების, ჟურნალების) სათაურები იბეჭდება დახრილი შრიფტით; უფრო მცირე ნაწილების (თავები, სტატიები) სათაურები იბეჭდება სწორი შრიფტით და არ თავსდება ბრჭყალებში. გამოუქვეყნებელი ნაშრომების (მაგ., დისერტაციები) სათაურები იბეჭდება სწორი შრიფტით და არ თავსდება ბრჭყალებში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი წიგნის მოცულობისაა.

9. რიცხვები სათაურებში

რიცხვები სიტყვიერად გადმოიცემა ან ციფრებით იწერება ზუსტად ისე, როგორც წყაროშია. გვერდის ნომრები, რომლებიც წყაროში რომაული ციფრებით არის წარმოდგენილი, მიეთითება პატარა რომაული ციფრებით. ყველა სხვა რიცხვი (როგორცაა თავის ნომრები ან ნახატების ნომრები) წარმოდგენილია არაბული ციფრებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორიგინალში ისინი რომაული ციფრებით არის წარმოდგენილი ან სიტყვიერად არის გადმოცემული.

10. აბრევიატურები

შენიშვნებში შეამოკლეთ ტერმინები, როგორცაა რედაქტორი, მთარგმნელი, და ტომი (რედ., მთარგმ., და ტ.). მრავლობითი ფორმა, ჩვეულებრივ, იწარმოება `ები`-ს დამატებით (რედ.-ები). ადგილობრივი სახელმძღვანელო პრინციპებით შესაძლოა, ნებადართული

იყოს დამატებითი აბრევიატურების გამოყენება, როგორცაა უნიკ. – უნივერსიტეტის შემოკლება.

#### 11. შეწეული აბზაცი

გამოყენებული ლიტერატურის მითითების მუხლების შეწევა შებრუნებულად ხდება; პირველი ხაზი სწორდება მარცხნივ, ხოლო ყველა მომდევნო სტრიქონი შეწეულია აბზაცის იდენტური ინტერვალით. ტექსტობრივი მითითებები ტექსტში თავსდება და მათი შეწევა არ ხდება.

#### 12. ელექტრონული წყაროების დამოწმება

ელექტრონული წყაროების ორი კატეგორია არსებობს.

- ინტერნეტში განთავსებული მრავალი წყარო არაფრით განსხვავდება ნაბეჭდი წყაროსგან - სხვა წყაროებს შორის არის ინტერნეტში განთავსებული წიგნები, გაზეთები და საჟურნალო სტატიები და საჯარო დოკუმენტები. ინტერნეტში განთავსებულ წყაროზე მითითება გააკეთეთ ამ სახის ნაბეჭდი წყაროს მსგავსად – თავდაპირველად მიუთითეთ სტანდარტული მონაცემები პუბლიკაციის შესახებ (ავტორის სახელი, სახელწოდება, თარიღი და ა.შ.). მითითების ბოლოს დაამატეთ URL მისამართი

- ინტერნეტში განთავსებული სხვა სახის წყაროები, ორგანიზაციის ან კერძო ვებსაიტები და ელექტრონული ფოსტის ადრესატების სიები, მხოლოდ ამ მატარებლისთვის არის დამახასიათებელი. იმის გამო, რომ ამ წყაროების შესახებ არ მოიპოვება პუბლიკაციის სტანდარტული მონაცემების უმეტესობა, ისინი მიიჩნევა „არაოფიციალურად გამოქვეყნებულად.“ ასეთი წყაროს ციტირებისთვის უნდა წარმოადგინოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია წყაროს შესახებ, URL მისამართსა და წვდომის თარიღთან ერთად (იხ. ქვემოთ).

გარდა ამისა, თითოეული მითითება ინტერნეტში განთავსებული წყაროს შესახებ უნდა მოიცავდეს თარიღს, როდესაც ბოლოს გახსენით მასალა. აგრეთვე, შეგიძლიათ, ინტერნეტში განთავსებული წყარო, რომლის ციტირებასაც აპირებთ, ჩაწეროთ მყარ დისკზე ან კომპაქტურ დისკზე, რათა გქონდეთ საიმედო ასლი, რომლიც ნახვაც თქვენ ან თქვენს მკითხველს მოგვიანებით შეეძლება.

#### 13. სხვა ელექტრონული მატარებლები

სხვა ელექტრონულ მატარებელზე, როგორცაა CD-ROM-ები, ჩაწერილი წყაროები ინტერნეტში განთავსებულ წყაროებზე უფრო მდგრადია. იმ წყაროების ციტირება, რომლებიც ტირაჟირდება და ვრცელდება, გამოქვეყნებული წიგნების მსგავსად უნდა მოხდეს, მხოლოდ უნდა დაემატოს ინფორმაცია მატარებლის შესახებ; თუ წყარო განთავსებულია ერთზე მეტ ელექტრონულ მატარებელზე (მაგ., ინტერნეტში და CD-ROM-ზე) ან არსებობს როგორც ელექტრონული, ისე ნაბეჭდი სახით, გამოიყენეთ ყველაზე მდგრადი ვარიანტი და ყოველთვის გააკეთეთ მითითება გამოყენებულ ვარიანტზე.

### ნიმუში

#### ბიბლიოგრაფია

1. **ბრეგაძე 2013** - ბრეგაძე, კონსტანტინე. 2013. *ქართული მოდერნიზმი*. თბილისი: მერიდიანი

2. ----- . 2018. „პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი და ანტიკოლონიური (ანტირუსულ-ანტიბოლშევიკური) დისკურსი კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიონისოს ღიმილი“: სიმპოზიუმი სახელმწიფოებრივი სუვერენობის იდეა და XX საუკუნის მწერლობა, XII. ნაწილი პირველი. 470-480. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტი.

3. **გამსახურდია 2003** - გამსახურდია, კონსტანტინე. 2003. *დიონისოს ღიმელი*. ქართული პროზა: ტომი XXXV. თბილისი: საქართველო.

**დამატებითი ინფორმაციისათვის:**

<https://www.ucd.ie/t4cms/Guide68.pdf>

[http://lib.trinity.edu/research/citing/Chicago\\_Author\\_Date\\_16th\\_ed.pdf](http://lib.trinity.edu/research/citing/Chicago_Author_Date_16th_ed.pdf)

[http://www.chicagomanualofstyle.org/tools\\_citationguide.html](http://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.html)

<https://owl.english.purdue.edu/owl/resource/717/06/>

თურაბიანი, ქეთი ლ. 2007. სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის. „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტისა და მკვლევარებისათვის. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

[http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/sakhelmdzghvanelo-](http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/sakhelmdzghvanelo-repheratebisthezisebis-da-disertatsiebis-avtorebisathvis-qeith-l.-thurabiani.pdf)

[repheratebisthezisebis-da-disertatsiebis-avtorebisathvis-qeith-l.-thurabiani.pdf](http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/sakhelmdzghvanelo-repheratebisthezisebis-da-disertatsiebis-avtorebisathvis-qeith-l.-thurabiani.pdf) (12.12.2017).

#### 14. ილუსტრაციების წარმოდგენის ინსტრუქცია

ილუსტრაციები (სქემები, დიაგრამები, ცხრილები, სურათები, რუკები, ავტოგრაფიული ჩანახატები და სხვ.) წარმოდგენილი უნდა იყოს ტექსტში ჩასმული ან ცალკე ფაილის სახით.

ილუსტრაციები უნდა წარმოადგინოთ შემდეგ ფორმატში:

EPS (ან PDF): დიაგრამები, ცხრილები და სქემები, ყველა გამოყენებული ფონტით;

TIFF (ან JPEG): ფერადი და შავ-თეთრი ფოტოსურათი, რუკები, გაფართოება მინიმუმ 300 dpi;

TIFF (ან JPEG): შავ-თეთრი გრაფიკული ნახატი, ავტოგრაფიული ჩანახატი, გაფართოება მინიმუმ 1000 dpi;

TIFF (ან JPEG): კომბინირებული (ფერადი და შავ-თეთრი) სურათი, გაფართოება მინიმუმ 500 dpi.

ტექსტში გამოყენებული ილუსტრაციები თანმიმდევრულად დანომრეთ. თითოეულ ილუსტრაციას უნდა ჰქონდეს წარწერა. წარწერები დაწერეთ ცალკე და არა ილუსტრაციაზე. წარწერა უნდა შეიცავდეს სათაურს და მოკლე აღწერას. გააკეთეთ მოკლე წარწერა, მაგრამ განმარტეთ ყველა გამოყენებული სიმბოლო და აბრევიატურა. თავი აარიდეთ ვერტიკალურ მწკრივებს;

ილუსტრაციებზე წარწერისათვის გამოიყენეთ შემდეგი შრიფტები: **Sylfaen**, **AcadNusx** და **Times New Roman**. შრიფტის ზომა უნდა იყოს არანაკლებ 9. ილუსტრაციების წარწერები შესაძლებელია იყოს დახრილი შრიფტით;

შესაძლებელია ილუსტრაციები ტექსტში მხოლოდ დაინომროს, ხოლო გამოყენებული ლიტერატურის შემდეგ დაერთოს ჩამონათვალი შესაბამისი განმარტებებით;

თუ ილუსტრაციები (სქემები, დიაგრამები, ცხრილები, სურათები, რუკები, ავტოგრაფიული ჩანახატები და სხვ.) დასკანერებულია წიგნიდან, უნდა მიეთითოს წიგნის სრული დასახელება. ასევე, თუ ილუსტრაცია გადმოღებულია ინტერნეტიდან, უნდა მიეთითოს სრულყოფილად, როგორც ეს მინიშნებულია ლიტერატურის დამოწმების წესში. ასეთ შემთხვევაში ილუსტრაციის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნილ ფორმატს;

ტექსტში ჩართული ილუსტრაცია არ შეიძლება გაყოფილი იყოს გვერდიდან გვერდზე გადასვლისას;

ცალკე ფაილად წარმოდგენილი ილუსტრაციის ზომა არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატს;

ილუსტრაციების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10-ს.

❖ ტექსტში ზომა-წონის ერთეულები წარმოდგენილი უნდა იყოს სი სისტემით (ერთეულთა საერთაშორისო სისტემა, ან შემოკლებით სი - ფრანგ. Système international d'unités, SI). წყაროში სხვა ზომა-წონის ერთეულის დასახელების შემთხვევაში, იქვე, მრგვალ ფრჩხილებში ან სქოლიოში უნდა მიეთითოს სი სისტემის შესაბამისი ზომა-წონის ერთეული.

❖ წელთაღრიცხვისათვის უნდა გამოიყენოთ გრიგორიანული სტილი. წყაროებში სხვა კალენდარული სისტემების თარიღების დასახელების შემთხვევაში, მრგვალ ფრჩხილებში ან სქოლიოში უნდა მიეთითოს გრიგორიანული კალენდრის შესაბამისი თარიღი. ქრისტეს შობამდე მოვლენების დათარიღებისათვის უნდა გამოიყენოთ პეტავიუსის სისტემა ნულოვანი წლის გარეშე (მაგ.: „ძველი წელთაღრიცხვით“; „ჩვენს წელთაღრიცხვამდე“; „ქრისტემდე“).

## 5. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურები

5.1 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე III სემესტრის დაწყებიდან, ხოლო ინტეგრირებულის პროგრამის შემთხვევაში IX სემესტრის არაუგვიანეს მე-10 კვირისა ფაკულტეტის საბჭოზე მტკიცდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომების თემატიკა. ამავე სემესტრში სტუდენტი ირჩევს თემას (სტუდენტს შეუძლია შესთავაზოს მისთვის საინტერესო სამაგისტრო თემა) და ხელმძღვანელს, რისთვისაც განცხადებით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

5.2 მაგისტრანტი სრულყოფილად გაფორმებულ, აკინძულ და ყდაში ჩასმულ სამაგისტრო პროექტს/ნაშრომს და ნაშრომის სრულ ელექტრონულ ვერსიას (CD) ხელმძღვანელის დასკვნის თანხლებით წარუდგენს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი წესებისა და ვადების შესაბამისად.

5.3 ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შესაბამისობას ინსტრუქციასთან. ფაკულტეტის მიერ დადგენილი ვადების შესაბამისად სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომს ატვირთავს Moodle-ის პროგრამაში პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და რეაგირების კომისიის დასკვნის მისაღებად. უნივერსიტეტში პლაგიატის დამდგენი კომისია ხუთი სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს ნაშრომებს პლაგიატის წესის შესაბამისად.

5.3.1. თანხვედრის მაჩვენებლის 25%-ზე მეტის არსებობის ან პლაგიატზე ეჭვის შემთხვევაში ნაშრომი ხარვეზის გასწორების რეკომენდაციით უბრუნდება ავტორს არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადით. სტუდენტს ვადა განესაზღვრება მხოლოდ მაშინ, თუ პლაგიატის კომისია აღმოჩენილ დარღვევას ძირითადად ტექნიკური ხასიათის შეცდომის კვალიფიკაციას მისცემს და მის აღმოფხვრას მიიჩნევს შესაძლებლად.

5.3.2. განსაზღვრულ ვადაში მაგისტრანტი ხელახლა წარმოადგენს ნაშრომს, რომელსაც ამოწმებს პლაგიატის კომისია შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაყრდნობით. პლაგიატის კომისიას ნაშრომის ხელახლა განხილვისთვის ეძლევა 5 კალენდარული დღე.

5.3.3. პლაგიატის, ან თანხვედრის მაჩვენებლის 25%-ზე მეტის განმეორებით დადასტურების შემთხვევაში კომისია წერს დასკვნას, რომლის საფუძველზეც სამაგისტრო ნაშრომს არ მიეცემა მსვლელობა, ხოლო შესაბამისი რეაგირება ხდება და გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური ნორმების შესაბამისად.

5.3.4. შემთხვევის შესწავლის და მაგისტრანტის მუშაობასთან დაკავშირებული ისტორიის გაცნობის შედეგად ფაკულტეტის საბჭომ შეიძლება მიიღოს ორი სახის გადაწყვეტილება:

- მაგისტრანტს მისცეს დამატებითი გონივრული ვადა ნაშრომის გამოსასწორებლად;
  - მაგისტრანტის ნაშრომი ცნოს დისკვალიფიცირებულად, რის შედეგადაც მას მოუწევს ახალი ნაშრომის მომზადება.
- 5.4 პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და რეაგირების კომისიის მიერ პლაგიატის არ დადასტურების შემთხვევაში გაცემული დასკვნის საფუძველზე სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი გადაეცემა რეცენზენტს.
- 5.5 სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის არ წარმოდგენის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს დეკანატი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად.
- 5.6 სამაგისტრო პროექტის/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
- 5.7 სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის დაცვის თარიღისა და დარგობრივი კომისიის შემადგენლობას (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარეს (რომელიც არ შეიძლება იყოს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი) და მდივანს) ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
- ა) დარგობრივი კომისია უნდა შედგებოდეს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შესაბამისი მეცნიერების დარგის 3 ან მეტი წევრისაგან. კომისიის წევრი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ადგილობრივი ან/და საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან (ხელმძღვანელი, თუ საპატიო მიზეზის გამო ვერ ესწრება კომისიის სხდომას, კომისიას უგზავნის შესაბამის მოხსენებით ბარათს და მაგისტრანტის პიროვნულ დახასიათებას).
- 5.8 სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის დაცვის დარგობრივი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
- 5.9 ფაკულტეტის დარგობრივ კომისიას უნდა წარედგინოს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ორი ეგზემპლარი და ელექტრონილი ვერსია ბიბლიოთეკაში არქივირების მიზნით. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაზე.
- 5.10 მაგისტრანტის მიერ პროექტის/ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს თემის წარმოდგენას, რომლის რეგლამენტი განისაზღვრება არაუმეტეს 15 წუთით. მოხსენების დასრულების შემდეგ იმართება კამათი, მაგისტრანტი უპასუხებს კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. კამათის შემდეგ სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შესაფასებლად დარგობრივი კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე.
- 5.11 სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) დარგობრივი კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულით, ფაკულტეტების მიერ შემუშავებული შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით (დანართი 1-ის შესაბამისად).
- 5.12 შეფასების სისტემით დასაშვებია
- ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
- ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
- ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი დამატებით სემესტრში გადის სემესტრულ ადმინისტრაციულ რეგისტრაციას და ეძლევა ახალ სამაგისტრო თემაზე შესრულებული პროექტის/ნაშრომის წარმოდგენის უფლება.

## **6. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დაშვებისა და შეფასების პირობები**

### **6.1. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობებია:**

6.1.1 სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების კრედიტების სრულად ათვისება;

6.1.2 სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად;

6.1.3 პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების კომისიის დასკვნა პლაგიატის არ დადასტურების შესახებ.

6.1.4 სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის რეცენზენტის რეკომენდაცია ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად.

## **დანართი 1**

საფაკულტეტო დარგობრივი კომისიის მიერ სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შეფასება  
(მაქსიმალური შეფასება 100 ქულა)

სტუდენტის სახელი, გვარი -

სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის სახელწოდება -

სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

თემის დასახელება:			
შეფასების კომპონენტები	მაქსიმალური შეფასება, ქულა	შეფასება	შენიშვნა



1.	პრობლემის აქტუალობის წარმოჩენა, პროექტის/ნაშრომის რელევანტურობა საკვლევ თემასთან; ძირითად საკვლევ საკითხებზე კონცენტრირება	10		
2.	კვლევის მეთოდოლოგია	8		
	შერჩეული მასალა	7		
	საკვლევ საკითხის ამომწურავად შესწავლა	15		
3.	ავტორის პოზიციის გამოკვეთა, მსჯელობა, შესაბამისი დასკვნები და შედეგები	10		
4.	მონაცემების სისწორე, დამოწმებული წყაროს სანდოობა და მათი ბიბლიოგრაფიაში ასახვა	5		
5.	მონაცემთა უშუალოდ პირველწყაროდან მომდინარეობა, ციტატების ორგანული და ლოგიკური კავშირი ტექსტთან	5		
6.	პროექტის/ნაშრომის გაფორმების ხარისხი და სტრუქტურული გამართულობა	5		
7.	კამათისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი (აზრების თანმიმდევრულად გადმოცემა, კითხვებზე, შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხების სიზუსტე და სიღრმისეულობა)	13		
8.	საპრეზენტაციო მასალების გაფორმების ვიზუალური მხარე	7		
9.	პროექტის/ნაშრომის ენობრივად და სტილისტურად გამართულობა, ლექსიკის თემატიკასთან შესაბამისობა	8		
10.	აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი, რეგლამენტის დაცვა	7		

**შენიშვნა:** სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ჯამი: (რიცხვით და სიტყვით)  
კომისიის წევრი:

თარიღი: \_\_\_\_\_ 20 წელი

დანართი 2

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი \_\_\_\_\_

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა \_\_\_\_\_

მაგისტრანტი - სახელი, გვარი

სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი  
თემის სრული სათაური

ხელმძღვანელი - სახელი, გვარი

ახალციხე - ... წელი

**შეტანილი ცვლილებები:**

აკადემიური საბჭოს 2021 წლის 04 ნოემბრის N52 დადგენილება, ოქმი N10;

აკადემიური საბჭოს 2022 წლის 24 თებერვლის N15 დადგენილება, ოქმი N5;